სსიპ ,,საქართველოს სტანდარტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს“
გენერალური დირექტორის 2013 წლის 26 აგვისტოს N62
განკარგულებით შექმნილი საკონკურსო კომისიის
სხდომის ოქმი №2

ქ. თბილისი 21 ოქტომბერი 2013 წელი

<u>სხდომას ესწრებოდნენ:</u>

პრომეთე შევარდნაძე–გენერალური დირექტორი, კომისიის თავმჯდომარე;

<u>კომისიის წევრები:</u>

ნინო მიქანაძე-მეტროლოგიის ინსტიტუტის დირექტორი.

დავით ტყემალაძე–ადმინისტრაციული დეპარტამენტის დირექტორი.

გიორგი ჩიტაძე-სტანდარტების დეპარტამენტის დირექტორი.

სიმონ სუხიშვილი - რადიაციული მეტროლოგიის განყოფილების უფროსი.

ავთანდილ ჭიჭინაძე- სტანდარტიზაციის სამსახურის უფროსი.

ავთანდილ მაღლაკელიძე-საერთაშორისო ურთიერთობების, პროტოკოლისა და მარკეტინგის განყოფილების სპეციალისტი.

<u>სხდომას ასევე ესწრებოდნენ:</u> საფინანსო სამსახურის შესყიდვების სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი შავლეგო ხუნაშვილი, იურისტის მოვალეობის შემსრულებელი სალომე სვინტრაძე და შპს ,,ელემსი“-ს წარმომადგენელი ირაკლი შონია.

დღის წესრიგი: სსიპ ,,საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს“ მიერ კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების შესყიდვის მიზნით (CPV 71200000) გამოცხადებულ კონკურსში (№991) წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების განხილვა.

კომისიამ განიხილა: კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ სსიპ ,,საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს“ მიერ კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების შესყიდვის მიზნით (CPV 71200000) გამოცხადებულ კონკურსში (№991) მონაწილეობა მიიღო ორმა კონკურსანტმა (შპს ,,არქიტექტორი გამომგონებლები“ და შპს „ლაინ ჯორჯია“). კომისიამ განიხილა ორივე კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება. კომისიის გადაწყვეტილებით ,,კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის ბრძანება №3-ის მე-4 მუხლის

მე-3 პუნქტის საფუძველზე სსიპ ,,საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს“ მიერ კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების შესყიდვის მიზნით (CPV 71200000) გამოცხადებულ კონკურსში (№991) გამარჯვებულად გამოცხადდა შპს ,,არქიტექტორი გამომგონებლები“ შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

N	შეფასების კრიტერიუმი	პრიორიტეტულობის კოეფიციენტი	ქულა პრიორიტეტულობის კოეფიციენტის გათვალისწინებით	
			შპს ,,არქიტექტორი გამომგონებლები“	შპს ,,ლაინ ჯორჯია“
1	კონკურსანტის გამოცდილება პროექტში, რომლის დამკვეთს წარმოადგენს საერთაშორისო ორგანიზაცია და რომელიც განხორციელებულია საერთაშორისოდ აღიარებული სამუშაოების შესრულების მეთოდოლოგიის მიხედვით. (მაგ. „RIBA-სამუშაო გეგმის მონახაზი 2007“)	0.2	2.00	0.00
2	კონკურსანტის გამოცდილება მსგავსი ტიპის პროექტში	0.2	0.00	0.00
3	სარეკომენდაციო წერილი საერთაშორისო დამკვეთისგან	0.05	0.00	0.00
4	კონკურსანტის საკონკურსო წინადადების ფასი	0.1	0.77	1.00
5	კონკურსანტის მიერ მოწოდებული სამუშაოს შესრულების შესაბამისობა გენერალურ კალენდარულ გრაფიკთან	0.2	2.00	0.00
6	კონკურსანტის მიერ გასაწევი მომსახურების აღსრულების გეგმა (Project Execution Plan)	0.25	2.25	1.00
	ჯამი	1	7.02	2.00

კომისიამ დაადგინა:

1. წერილობით ეცნობოს შპს ,,არქიტექტორი გამომგონებლები"-ს, რომ მათ მიერ კონკურსში №991 წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება გამოცხადდა გამარჯვებულად.
2. ასევე ეცნობოს კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, რომ კონკურსში №991 გამოვლენილია გამარჯვებული.

<u>საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე:</u>

პრომეთე შევარდნაძე

<u>საკონკურსო კომისიის წევრები:</u>

ნინო მიქანაძე

დავით ტყემალაძე

გიორგი ჩიტაძე

სიმონ სუხიშვილი

ავთანდილ ჭიჭინაძე

ავთანდილ მაღლაკელიძე